

მასტერ-კლასი ქიმიაში

„როგორ ჩავატაროთ კონსტრუქტივისტული გაკვეთილი?“

4 სთ

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა პედაგოგებისაგან მოითხოვს სხვადასხვა ტიპის გაკვეთილის ჩატარებას. ეს გაკვეთილებია:

1. ინტეგრირებული
2. პრობლემაზე ორიენტირებული
3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული
4. ინოვაციური

თითოეული მათგანი პასუხობს 21-ე საუკუნის განათლების სისტემის გამოწვევას - მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, რაც გულისხმობს მოსწავლის **აქტიურ** ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული გაკვეთილის ჩატარებას.

სამიზნე ჯგუფი - საბაზო და საშუალო საფეხურის პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი ქიმიის პედაგოგები

მასტერკლასზე წარმოდგენილი იქნება ორი სამოდულო გაკვეთილი:

- ა) არაორგანული ქიმიის მიმართულებით
- ბ) ორგანული ქიმიის მიმართულებით

მასტერკლასის ფარგლებში მსმენელები:

- გაეცნობიან კონსტრუქტივისტული ტიპის ორ გაკვეთილს
- დაადგენენ ამა თუ იმ აქტივობის შეფასების კრიტერიუმებს
- მოახდენენ მიღებული ცოდნის ტრანსფერს და დამოუკიდებლად დაგეგმავენ ანალოგიურ ორ გაკვეთილს
- იმსჯელებენ მეთოდის ეფექტიანობაზე